

საერთო გაზეთი

№17 (522) • სპეციალური გამოშვება • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირს 1,50 ლ.

19 მაისს მთელი საქართველო სამეგრელოს გვერდით უნდა დადგეს!



გეგა შენგელია: ყველაფერს ბავაჯითა, რომ ჩემმა ზუგდიდმა ჩემით იაბაყოს...

SOS! SOS! SOS!

უდიდესი მზაკვრობა და ვერაგობა მზადდება სააკაშვილ-სანაცეტის მხრიდან სამეგრელოს წინააღმდეგ. მხედრიონელ-პუტჩისტებიდან დანყებული, ნაძირალა მსტოვრებით დამთავრებული ყველანი ზუგდიდში მოყარეს, როგორც ამბობენ, ამ დღეებში მათ მიემატებათ ქისტურ-ჩეჩნური ჯგუფები, რათა სამეგრელოში, კერძოდ კი ზუგდიდში დაიწყონ არეულობა. დაანებეთ თავი სამეგრელოს, მხედრიონელებო! დაანებეთ თავი სამეგრელოს, ნაძირალა პუტჩისტებო! შორს სამეგრელოდან კაცის გამაუპატიურებლებო! შორს ჩვენგან მწამებლებო, მკვლევებო, ადამიანის ორგანოებით მოვაჭრეებო! იცოდეთ, ნებისმიერ არამართლზომიერ ქმედებასა თუ გამოსტომაზე ადეკვატურ პასუხს მიიღებთ, თან ძალიან მწარედ. ნუ ცდით მეგრელების მოთმინებას!
ფეისბუქიდან

კობა არაბული:

მეგრელთა თემში, პირველ ქრისტიანეთა მხარეში, უდიდესი სირცხვილი იქნება, „წინამძღოლად“ საბანის თანამეცხედრე აპირჩიოთ

ვახტანგ ხარჩილაძე:

მიუა და სანდრა - შვედრელების საფლავიდან აღმოსვენებული ორი ბოროტება

გური ოტოზაია:

ტროას ცხენი „ნაცხვის“ საჯინიბოლან

ზურაბ თორია:

ვის სჭირდება ზუგდიდის მერაღ ეს თვალთმაქცი და ფარისეველი „გასტრალიორგა“?

ჯაბა სუბუა:

ზუგდიდელებო, თუ საკუთარი ქალაქი გიყვართ, მას თავზე რულოვსის პოლანდიურ ნიფხავს ნუ დაახურავთ!

წყვილიაღის „დადოფალი“, სახელად „მფატრაპი სანდრა“



ლაშა გვასალია: რანაწერები სამეგრელოდან

- ❖ სანდრა არა კოკეზია!
- ❖ უფუფიტიწე და მისი სოლი
- ❖ ეკ, სანდრა, სანდრა, სორა მიოწქანტრა
- ❖ მიმართვისნაირი ნამხვრავი „ნაცხვს“
- ❖ პუტჩისტის თაქო ჩარქვიანი
- ❖ უმადუროგის რაფსოდია
- ❖ სანდრას მასპინძლობა — ვაზინერს!..
- ❖ ოინგაზაგის ვაქხანალია
- ❖ სანდრას ზვინადისტაბი
- ❖ ღიანს, გიორგი გახარია, ღიანს ალექსანდრე მოწერელია!..



სიბულა ანუ გზა იქიდან უნდა გაგრძელდეს, სადაც ის შეწყდა



29 მარტს სიბულაში ბიძინა ივანიშვილის ჩასვლით და იმ ტრაგიკული ადგილის მონახულებით, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ადესრულა, ვფიქრობ, ის ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა, რითაც საქართველოს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ეტაპი უნდა დაიწყო.

„ეს დღე ბევრ მივიწყებულ ტკივილს გაგვიღვიძებს, ბევრ რამეს გაგვახსენებს და ჩვენ მართლაც გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და უახლოესი წარსულის სწორი ანალიზი. იმ უახლოესი წარსულის, რომელიც სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული ისტორიით იწყება. როგორ მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძოდა, რომელმაც რეალობად აქცია მრავალი თაობის ოცნება და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცოტა ხანში სწორედ ამ დამოუკიდებელ საქართველოში ტრაგიკულად დაიღუპა ისევე საკუთარი თანამემამულეებისგან დაუნდობლად დევნილი.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას — ის, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებები დღემდე გამოუძიებელია, არის ჩვენი ქვეყნის დიდი სირცხვილი. ეს საქმე აუცილებლად და დროულად უნდა მივიდეს ბოლომდე და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. როგორ და რატომ მოხდა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარიჟრაჟზე, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა ერთიანობა, ამ დროს ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ და ქვეყანა დავანგრეთ. არ იქნებოდა სწორი გარეშე მტრისთვის ყველაფერის დაბრალება, მტერი ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მტერი უნდა იქცეოდეს, ჩვენ ჩვენი შეცდომები უნდა გავაანალიზოთ და ის მიზეზები მოვუძებნოთ, რაც ამ შეცდომების დაშვებას

გვაიძულებს“ — ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება, ფაქტობრივად, ახალი პოლიტიკური მიმართულების იდეოლოგიური პლატფორმის ერთგვარი პროექტია, რომლის ხორცშესხმასაც აპირებს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში.

ბიძინა ივანიშვილმა სიბულაშიც გაიმეორა მისი ბოლოდროინდელი განცხადებების მუდმივ რეფრენად ქცეული ფრაზა — ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

ზვიად გამსახურდია თუ მოკლეს, ის მოკლა ყველა, ვინც 90-იან წლებში იარაღი აიღო ხელში და დამოუკიდებლობის გზაზე ახლად-ფხვამდგომულ საქართველოს ომი გამოუცხადა.

ზვიად გამსახურდია თუ თავი მოიკლა, ის თვითმკვლელობადაც

მიიყვანა ყველა, ვინც მას იარაღით გამოუპიდა და სიბულის ჩიხთან მიყვამდგომულ გადარჩენის არანაირი შანსი არ დაუტოვა.

90-იან წლებში მომხდარი დანაშაული — ეს არის კოლექტიური დანაშაული ქვეყნისა და ხალხის წინაშე, როცა ქართველთა ერთმა ნაწილმა საკუთარი სამშობლო დაიპყრო, კანონიერად არჩეული მისი ხელისუფლება დაამხო, ქვეყნის პრეზიდენტი კი მოკლა ან მეორე ვარიანტით, თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

ამ კოლექტიურ დანაშაულს, ცხადია, ჰყავდა თავისი „გლავარები“, თავისი ბოსები და ლიდერები, რომლებიც საკუთარ სამშობლოზე და საკუთარ ხალხზე ამ „ძლევაშოსილი“ გამარჯვების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ და მთელი ათი წელი ყველგან და ძარცვავდნენ ქვეყანას.

თუშეცა რატომ მხოლოდ ათი წელი და არა ათი წელი კლიუს სააკაშვილის სისხლიანი „მეზობის“ კიდევ ცხრა წელი?

ამდენად, ათი კი არა, სინამდვილეში ცხრამეტი წელი გასტანა სამხედრო გადატრიალების გზით მოსული კრიმინალურ-პოლიტიკური ძალების თარეშმა საქართველოში და მას მხოლოდ 2012 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დაესვა წერტილი.

ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ სააკაშვილი კი არ დაუმარცხებია, არამედ მან დაასრულა სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ორი მოკალაღმ ხელისუფლების ცხრამეტი წელიანი პერიოდი.

ბიძინა ივანიშვილის მიმართებით, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, ახალი ეტაპი დაიწყო და ახალი მიზანი გამოიკვეთა — ეს არის ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე ორიენტირებული იმ ახალი ყაიდის ქართული სახელმწიფოს შექმნა, რომელზეც ოცნებობდა და რომელსაც შეეწირა ზვიად გამსახურდია.

„ჩათვალეთ, რომ ამას ის კაცი გიკეთებთ, ვინც აქ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა“, — ასეთი საოცარი სიტყვები უთხრა ბიძინა ივანიშვილმა სიბულაში.

არ არის გამორიცხვად, როცა 2020 წლისთვის თვისობრივად ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებელი შენობის კედლები უკვე ამოყვანილი იქნება, ბიძინა ივანიშვილმა იგივე სიტყვები უთხრას ქართველებს, რაც სიბულაში თქვა: ჩათვალეთ, რომ ეს შენობა მხოლოდ მე კი არა, პირველ ყოვლისა, ზვიად გამსახურდიამ და იმ გმირებმა აგებინეს, რომლებმაც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის გაწირეს სიცოცხლე.

პასტანა სარჩილავა



„საერთო გაზეთი“
 გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
 მის: თბილისი, ალფანოვლის 164;
 ტელ.: 2 34 28 97; 593 440 401.
 E-mail: saertogazeti@yahoo.com
 რეგისტ. №202375349; შპს (სტ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ან ორთხის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ინფორმაცია შპს „საგამომცემლო ცენტრი“ სტამბაში; თბილისი, ალფანოვის 39

19 მაისს მთელი საქართველო სამეგრელოს გვერდით უნდა დადგას!

ცუდი ხმები მოდის სამეგრელოდან — ნაციონალები არჩევნების მოსაგებად კი არა დიდი არეულობის მოსაწყობად ემზადებიან.

ნაციონალებმა იციან, რომ ყოველგვარი გაყალბების და ხელოვნური ჩარევების გარეშე ისინი ამ არჩევნებს აგებენ, ამიტომაც მთავარი აქცენტი არჩევნების მოგების ნაცვლად, დესტაბილიზაციის და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირების სამზადისზე აქვთ აგებული.

ზუგდიდში უკვე გამოჩნდნენ ადამიანთა საეჭვო ჯგუფები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ზუგდიდის მერის არჩევნებთან და, აქედან გამომდინარე, მათ სამეგრელოში არაფერი ესაქმებათ. თუმცა ისინი იქ არიან და მათი რიცხვი დღითიდღე მატულობს.

მაღალჩინოსანი, წარმოშობით და მენტალიტეტით რუსი პოლიტიკოსი, ამხანაგი ვაჟაჰი მთავარსარდლოვს.

საეჭვო ფაქტოვები და ინტენსიური მისვლა-მოსვლა შეინიშნება ენგურს გაღმა და სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებში.

როგორც ჩანს, ისინიც გაცხოველებული ემზადებიან ზუგდიდის მერის არჩევნებისთვის — მათ შესანიშნავად იციან, 19 მაისის მეორე დღეს აქ, შეიძლე-



გვინდა მივმართოთ ქართველ საზოგადოებას, მის თითოეულ ღირსეულ წევრს, ყველა პატრიოტ ქართველს — სამეგრელოს დღეს მხარდაჭერა, გამხნეება და თანადგომა ესაჭიროება!



ზუგდიდში დაბანაკდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები საქართველოს ყველა კუთხიდან, მათ შორის, ეწვეაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები და სანდრა რულოვის სასარგებლოდ გაცხოველებულ აგიტაციის პროპაგანდაში აქტიურად არიან ჩართული.

— არჩევნების ჩასატარებლად ხართ თქვენ ჩამოსული თუ სამეგრელოს დასაპყრობად? — კითხულობენ ზუგდიდელები, დაუპატიჟებელი სტუმრები კი სდუმან.

ზუგდიდში თანდათან ემსგავსება „ნაციონალური“ ნახევრად განსამხედროებულ პლაცდარმს, თავისი რემკომით და პოლიტხელმძღვანელი, რომელსაც კგზ-ს ყოფილი

ბა, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ მათი „მური“ და „მეგობრული“ დახმარება გახდეს საჭირო, რასაც ისინი, ცხადია, არ დაგვაყვედრიან...

ასეთი ფეთქებადსაშიში და საგანგაშო მდგომარეობა სამეგრელოში და ამის შესახებ დანაწინამ საქართველომ, ჯერჯერობით, ნაკლებად იცის.

ნაციონალები „ვარდების რევოლუციის“ სცენარით აპირებენ მოქმედებას და ვითომ გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად, როგორც ზემოთ ვთქვით, ხალხის ქუჩაში გამოყვანას, რაც საპროვოკაციოდ გამზადებული ჯგუფების დახმარებით, შეიძლება, არეულობასა და დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ამით კი აუცილებლად ისარგებლებენ ის ავანტურის-

ტული ძალები, რომლებიც დიდი ხანია სამეგრელოს საქართველოსგან მოწყვეტაზე ოცნებობენ.

ნაციონალები იმდენად მანიაკალური პოლიტიკური ძალაა და იმდენად ავადმყოფურად არიან რევანშიზმით შეპყრობილნი, ოღონდ „ქართულ ოცნებას“ ზიანი მიაყენონ და სამეგრელოს ისე შესწირავენ მსხვერპლად, თვალს არ დაახამხამებენ.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მტრისთვის ხონჩით მიმართვებს სამეგრელოს გაწირვაზე რატომ აუკანკალდებათ ხელი?

გვინდა მივმართოთ ქართველ საზოგადოებას, მის თითოეულ

ღირსეულ წევრს, ყველა პატრიოტ ქართველს — სამეგრელოს დღეს მხარდაჭერა, გამხნეება და თანადგომა ესაჭიროება!

სამეგრელომ 19 მაისს მსოფლიო ზუგდიდის მერი კი არ უნდა აირჩიოს, არამედ ქართული სახელმწიფოს ერთიანობისა და მთლიანობის დიადი იდეა უნდა დაიცვას. ამ ბრძოლაში კი მთელი საქართველო მის გვერდით უნდა დადგას!

ღორღითი, დიხვამუ სქანის სახელქ, სი ქიმეზვარი სამარგალოს დო მთელი საქორთუოს!

„სამართო გაზეთი“



მეგრელთა თეოზი, კველ კოლხეთში, პირველ ქრისტიანეთა მხარეში, უდიდესი სირსხვილი იქნება, „ნინაპლოლად“ სატანის თანამეცხედრე (მოფლიმარი ეზეაკი) აპირიოთ



ამ ზაფხულს ხევსურეთში მომიწია ყოფნა ჩემს „გახუასებურ“ ქვის სახლაკში. ვიფიქრე: პოლიტიკას გარედებული ცოტანანს სულს მოვითქვამდი აქ, ტყის პირას და მდინარის ახლოს, „სულკალმახის წისქვილებთან“... მაგრამ აქ ჩემთან მოვიდა კაცი, ლიქოკის თემის უძველესი სალოცავის, კარატის ჯვარის ხუცესი, ჩემი ნათესავი, პაპიდაშვილის შვილი და მომიკითხა „შენმა შხემ, ძალიან მომენატრეთ“... – ხურჯინიდან ქაღები, ხაჭოს კვერები და ჟიბიტიური ამოლაგა...

– გავიგე, რომ აქა ყოფილხარ, წაკითხული მაქვს შენი წერილები. ავტობუსს ხანდახან გახეთები მოაქვს... მინდოდა მამითხა, რომ პარბად ბავიბო: თუ რა ხდობა მეგრელთა თეოზი, კველ კოლხეთში, პირველ ქრისტიანეთა მხარეში. შენ გაცოდინებ: განა თუ მართალია, რომ იმ განმოდდა ცოლი სატანისა და „მიმთხვა“ ათ. გაუღიმა და

გაუღიმს მათცა! განა ეს მართალია? ანუ არ არის გასაკვირი, რომ პირველ ქრისტიანეთ, ღვთისმშობლის კვართის შემნახველთ აცდუნებდეს ეშმაკი, როგორც წერილ არს?

მითხარი, რა ხდება, ან შენ რატომ ხარ ეხლა აქ? აქედან ხომ ვერაფერს ვერ უშველი: იქნები ასე „ხატის ხბოსავით“, ქალაქში რომ დაიწყო და დამთავრდეს, აქ იმასაც ვერ გაიგებ, არც რადიო, არც ტელეფონი იჭერს აქ... მე სიზმრით ვიგებ, რაც ხდება და რაც მოხდება... შენ იქ უნდა იყო, სადაც ცრემლის და ტანჯვის (შურის) ფაფა ღულს, ქვეყანას იქ უნდა უშველო...

მისმა მხერამ და ჩუმმა ხმამ იმდენად შემძრა, ხმა ვერ დავძარი... კარატის ჯვარის მოძღვარი იაკობ ხუცესისთვის მედგა გვერდზე და მილიმოდა...

– მინდოდა, სამეგრელოში წავსულიყავი, მაგრამ გზა-კვალი არ ვიცოდი. არც ის ვიცი, იქ რომელ სოფელში ან რომელ სალოცავში ვიხუცო, სად უფრო მეტი ხალხი გროვდება“...

იმედა ლიქოკელმა მალაქია წინასწარმეტყველიც მიხსენა, გველები რომ განდევნა ირლანდიიდან – „ეგენიც“ გველებით უნდა გავდევნოთო, კარატის ჯვარში დაეარისხებ მაგათო...

მართლაც ამ კარატის ჯვარის იაკობ ხუცესმა სხვა გზა არ იცის. თემის საზღვრიდან იშვიათად გადის, სახლიდან ჯვარის კარამდე და ძროხის ქოხამდე მიდის.

მას უსწავლია ოთხწლიან სკოლაში ოთხივე კლასში ერთი მასწავლებელი რომ ჰყავდა... სულ ეს

არის მისი განათლება, მაგრამ თავისუფლად იცის ინგლისურად და რუსულად წერა-კითხვა (თვითონ ისწავლა სამკომლიან სოფელში). შესანიშნავად იცის ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია, ლიტერატურა, პოლიტიკა...

როცა ჟამის წირვის ტაბლას (კოდბადავს) ლოცავს, ეს გონიერი ხუცესი ასეთ ფრაზასაც წარმოთქვამს: „შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმაც ბისალირსლა მირონი, გუდანი ჯვარო“... წარმოთქვამს კი, მაგრამ აღარ



ახსოვს, რა საიდუმლოს მოიცავს ეს მისტიკური ტექსტი – ეს არც სწავლულებმა იციან...

რთულია ამის შეცნობა, მაგრამ ის გრძნობს, რომ აქ არის კოლხურ-იბერიული ერთიანი სივრცის და ცივილიზაციის ანაბეჭდი. მან იცის ხევსურეთში მეგრელურ-

თა ჩამომავლობა და გახუა მეგრელურის საკრალური ომის ამბავი ქაჯებთან, მაგრამ რთულია კოლხურ-იბერიული და ფხოვური სამყაროს ერთიანი კოსმოგონის დანახვა.

...როგორც მირაჟიდან გამოსული შხე, ისე ანათებს ანდრეზული ცოდნის ანარეკლი ჩვენი ისტორიის მღვიმეებს.

იგივე ლეონტი მროველის ცნობით, სიმონ კანანელმა გამოვლო კოლხეთი, სვანეთ-დედალეთი და მივიდა ოვსეთს!..

აქ არის ფხოვის სამანებიც:

ძნელია, ხევსურ ხუცესს ხელი უწვდებოდეს ამ ტიპის მეცნიერულ ცოდნაზე თუ ჰიპოთეზებზე, რომელიც ჩვენთვის არის ნათელი და დასაშვები, მაგრამ მას ახსოვს ქუჯისა და ფარნავაზის დრო, როდესაც კოლხურ-იბერიული დიდებული სახელმწიფო შეიქმნა. აქ, ფხოვში, ისევე ეტყობა მთებზე ფარნავაზისდროინდელი საურმე გზები და „ციხეგორები“.

ლიქოკელი ხუცესი წუხს იმაზე, რომ ქვეყანა გათიშული და

დაყოფილია ბოროტი ძალების „ენობით“ და საჭიროა თანადგომა ერის შეგნით, მას აწუხებს ბედი აფხაზთა, მეგრთა და ქართლელთა ერთობის.

„ჩვენ უნდა ჩავიღებოთ იმ, მეგრელთა მხარეში, მბრინში და ინიინი ამ მოვიღწან და ერთმანეთს მივშვავოთ, როგორც შუაში-ფარნავაზის დროს იყო“, – ამას ამბობს ეს კითხული კაცი, ხუცესი კარატის (ლიქოკის) ჯვარისა...

მას აკვირებს ერის ზნობრივი ფერისცვალება, კოაბიტაციური ძალადობა ერის ფსიქოლოგიაზე, ბილწთან ზავით შეკვრა, სექსთა და ზნეთა გადაადგილება, ქალის და მამრის თვისებათა ცვლა.

აღამიანთა ზომბირება და ბაქტერიული ზემოქმედება.

შემომჩვილა, ფუტკარი რომ ფუტკარია, ისიც კი „დაასკლეროზეს“, მეხსიერება დაუზიანეს – გადის და უკან აღარ ბრუნდება, ცარიელი ოჯახები რჩება თაფლიანი ფიჭვებით.

ეს მოვლენა ცუდის მომასწავებელია, მომავალ განსაცდელზე მიგვანიშნებს. ფუტკარმა „რადაც იცის“, მიდის და აღარ ბრუნდება!

ეს მოვლენა სხვა მეფუტკრემაც დამიდასტურა, გიგა არაბულმა. სკები, როგორც მთის ქალაქები და სოფლები, უპატრონო რჩებაო...

ახლა მე დავამთავრებ ხევისბერთან საუბარს. ჩემი, როგორც მედიატორის, ფუნქციას ამოვწუ-

თქვენ, კოლხებს, როგორ შეგიძლიათ, ქალი, თანამეცხედრე კაცისა, რომელმაც სისხლის და სიკვდილის ტახტრევენები დაგვიდგა სახლებში, სისხლიანი ვენდეტები მოაწყო სვანეთში, კოდორში, სამაჩაბლოში... ქალაქის ქუჩებში, უკან დააბრუნოთ...



ანუ: „შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმან გისადირსა მირონი გუდანი ჯვარო“... ანუ ბერი ბადური ჩამოჰყვა პირველ მოციქულთ კოლხეთიდან და ფხოვის უძველეს სალოცავს „უსადირსლა მირონი“ და „ქართული ქრისტიანობა“ გაღვივდა მზის საყდარში... იმ სალოცავში, სადაც ჯერ კიდევ აღევლინება უძველესი „ათენგენის“ რიტუალი შერწყმული მზის და ქრისტეს მისტერიას („დიდება მზესა, მზის მყოლთა ანგელოზთა, დიდება დიდს კვირაესა ზვთის კარზე მოკარეესა“).

სტრაბონის ინფორმაციით, საქართველოში მზის და მთვარის ტაძრები ედგათ და იქიდან გადმოსული მისტერიები დღესაც ცხადად იხილება ფშავ-ხევსურთა სალოცავებში (რიტუალებში) და კოლხურ კოსმოგონიაში...



მანდ არის ღვთისმშობლის კვართი, თქვენთან, სამეგრელოში, ყველაზე დიდი სინმინდე კაცობრიობისა. ის დაგიფარავთ თქვენ და ერთიან საქართველოს აარიდებს ანტიქრისტეს შემოსვლას!..

რაც და ვიტყვი შეძლებს: სატანა, რომელიც ქართველ მანდილოსანთა ამოჭრილი საშვილო სწოებით და მამრთა გენიტალიებით ვაჭრობდა, ქალი, რომელიც ადამიანის სხეულის ნაწილებით სატანისტურ ბიზნესში მონაწილეობდა, მისი დაბრუნება ამ მიწაზე დაუშვებელია. ეს არის დანაშაული, დანაშაულზე მეტი!

თქვენ, კოლხებს, როგორ ვამბობლიათ ამ მომღივარე მშაპის „შეფხარება“ და „სადმლოფლად“ გაგზავნა?!
 თქვენ, კოლხებს, როგორ ვამბობლიათ, ძალი, თანამეცხედრე კაცისა, რომელმაც სისხლის და სიკვდილის ტახტზე დაგვიდგინა სახლავში, სისხლიანი ვენებში მოაფყრო სვანეთში, კოდორში, სამხაბლოში... ძალაძის მშენებელი, შიპან და ახალციხის მშენებელი...
 თქვენ როგორ ვამბობლიათ, ღიმილით ხვდებოდეთ დანაწანებლობით მყოფარ „სანრო პანას“, ბაქრაქის და ბოკარია-თარბაქა-ბარაშიძის კასტას, რომელთაც ვამყანა საკონცენტრაციო ბანაკად და მორბად აქციეს, სადაც მართველ კაცებს და ძალავს აწვენდნენ და სხეულის ნაწილებს აჭრიდნენ კედლიანი მორღილირები – მს სომ უკვე არის გაცხადებული აკოკალიფსი?
 თქვენ, ანატის და მელას, მუჟის და გუგაზის შთამომავალთ, როგორ ვამბობლიათ, უღიმიოდეთ და იფხარებდეთ ამ ბოროტებას, რომელმაც სამეგრელო ყელზე ლოდებდნენ, ლაშის მთლიანად ჩაიძრა...
 ვის წინააღმდეგ, თუ ჯინაზე აკეთებთ ამას? მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს მირაჟია და მალე გაქრება, თქვენ შეძლებთ ამ „მირაჟიდან“ გასვლას...
 მე არ გახლავართ რომელიმე პარტიის წევრი, ან ვინმეს მორჩილებაში მყოფი (გარდა უფლისა),

ვარ სრულიად თავისუფალი შინაგანი კომპლექსებისგან, რაც ათენგენის რიტუალიდან გამოსულს მეუფლება და, ხუცესიც მომივლინა უფალმა ამის სათქმელად, „თუ რა დაემართა ჩვენს ხალხს ამერ-იმერს, რამ დაუბნელა თვალი და გონება!“
 – ყველაფერი ეს მართალია თუ ტყუილი?
 – ჩვენი ეს პრეზიდენტოფილი, მართალია თუ ტყუილი, ტყეში თოფდაკარგული მონადირესავით რომ დადის?..
 – მართალია თუ ტყუილი, ამდენი არასამთავრობო ყვავი და ტელევიზია რომ დაგვჩხავის თავზე?
 ეს ყველაფერი, მალე მირაჟით გაქრება, ვეუბნები მე მას, კარატის ჯვარის ხევისბერს და თუ ასე არ მოხდა, ჩვენ ჩავიხრჩობით ამ აპოკალიფსურ დროში, რომელსაც თვითონ ვქმნით ჩვენთვის.
 ვის წინააღმდეგ მოგვყავს ძალი – მოღივარე ჯალათი! ვის წინააღმდეგ მოუხმობს „ნაცვებს“, ტერორისტებს, ათასი ჯურის ავაზაკებს – „რუსთა-ვი-2“-ი – „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, ივანეშვილის წინააღმდეგ, თუ სხვა რომელიმე „სისხლიანი შორს“ მოსაფყობად საშუთარ მიცვალებულზე!
 გვანსოვდეს, ბოროტი იცინის და უფალი სჯის.
 სადღაც ამოვიკითხე: კოლხებმა, მგონი, რომელიმე ბარბაროსებს, რომელიმე შხამიანი მცენარის თაფლი მიართვეს, რომელმაც მტრები დააძინა.
 ასლა განა თქვენ ჩაბაძინათ რომელიმე შხამიანი ღივიცის ღივილვა და „თაფლუჭა“?
 არ ჩაბაძინოთ, ჭკვიანო და კვლო კოლხებო, არ ჩაბაძინოთ, ყოველნი ქართველნი, მტრების „ლაქარდინა ვანა“ (ვაშა), თორემ თუ ჩაბაძინა, ვეღარ გავიღვივებთ!

ეს უნდა გვანსოვდეს – ჩვენი ომი „ქაჯებთან“ მუდმივი პროცესია.
 რეზიუმეს სახით ვიტყვი ერთსაც: ჩვენი ერი დათრგუნულია მზომბირებელი მასმედიით, „რუსთა-ვი-2“-ით და მისი სატელიტი ტელევიზიებით. საზოგადოებამ დაკარგა ორიენტაცია სიცრუის და დემაგოგიის განუწყვეტელი ტირაჟირებით. ცილისწამების დაუსჯელობით! „კოაბიტაციის“ მკენებლობით! ღირსეული პიროვნებანი ისევე ისე (როგორც ისტორიულად იყო) აღმოჩნდნენ გაუგონარი უმადურობის და დევნის სივრცეში!
 მტერმა ლამის საკუთარი ხორცი და მხსნელი შეგვკაჭმევინოს...
 ჩვენ ურთულეს პროცესს გავდივართ, შევედით „რუბიკონში“, მაგრამ ჯერ არ გადაგვილახავს იგი! – რუბიკონი გადასალახია!
 ბიძინა ივანეშვილი, ერთი ძველი ქართველი კაცი, სრულიად დაუცველი, ღვას ამ მსოფლიო „კონკრეტულად“ ვეღარ, მოკვლად სამყაროში. მას ჩვენთან დაცვა სჭირდება. ყველაფერი მისი აღდგენილი და გადარჩენილია ამ მიწაზე, არც ერთ პარტიას, არც ერთ პოლიტიკოსს თუ არასამთავრობო თითო თითოე არ დაუღია ქვეყნის სასიკეთოდ...
 ყველა ივანიშვილს ჩამოეკიდა ჩასაძირად ბორდელის გომიას-

ვით. სამარცხვინო შალიკოდან დაწვებული (სამჯერ რომ მიეყიდა სააკაშვილს), ნაციონალურთან კოპაბიტირებული „კომპოზიტორი“ – ანუ ოპერის მომღერალი ვირთი დამთავრებული... რამაც დამარწმუნა, რომ ოპერაში ყვირილს ბევრი ჭკუა არ სდომებია.
 მაგრამ პირველსავე სიტყვას მივალ და გავიხსენებ, ილიამ რომ ბრძანა: – სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახე! ეს ხომ ასე იყო და არის!
 როდესაც სამეგრელოში 90-იან წლებში ჯერ ცაიში მომიწია ჩასვლამ, მერე ზუგდიდში 3-4 წლის წინ, აღტაცებული დავრჩი ამ ხალხის და კუთხის სიღამაზით, სისუფთავით, პატრიოტიზმით და სტუმარ-მასპინძლობით... და იცით, კიდევ რა მინდა ვთქვა: ერთ დიდ სუფრაზე აღმოვჩნდი ცაიში, არ იყო ლხინის სუფრა და როდესაც ვილაცამ თქვა: აქ ხევსურეთიდან ჩამოსულია სტუმარი, ყველა ფეხზე ადგა, ყველაფერი სხვა „დაავიწყდათ“ და ჩემი სადღეგრძელო და საქართველოს ერთიანობის სადღეგრძელო შესვეს! ის წამი ახლაც თვალწინ მიდგას და სისხლს მიფრიალებს!
 უნდა მოგვართოთ ჩემს კოლხ მემოზრებს – „მზის შვილებს“ (მზე სომ, „დღეა ჩვენი“) – ჩვენ უნდა დავაბრუნოთ მუჟი-შარნავაზის დრო, უნდა „მოხროთ“ „მზის ცვარი“ და მზიანოთ ამ სინათლეს და შვიცივით მართავდეთ ქვეყნის გადარჩენისთვის...
 და რაც მთავარია, მანდ არის ღვთისმშობლის კვართი, თქვენთან, სამეგრელოში, ყველაზე დიდი სინმინდე კაცობრიობისა. ის დაგიფარავთ თქვენ და ერთიან საქართველოს აარიდებს ანტიქრისტეს შემოსვლას!..
 კობა არაბული, მწერალი, ეთნო კულტურათა მკვლევარი

„შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმაც გისაღირსლა მირონი, გუდანის ჯვარო“...



ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემმა ზუგდიდმა ჩემით იამაყოს...

19 მაისს ზუგდიდის მოსახლეობამ ახალი მერი უნდა აირჩიოს. ამ თანამდებობის დასაკავებლად „ქართულმა ოცნებამ“ ბიორბი (გეგა) შინგალია წარადგინა, რომელიც დარწმუნებულია გამარჯვებაში, რადგან მას ზურგს უმაგრებს ის გუნდი, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობისთვისაა მომართული და ყველაფერს გააკეთებს ამ გუნდთან ერთად, რომ ზუგდიდმა მისით იამაყოს. მოდი, მოვეუსმინოთ თავად კანდიდატს:

- ბატონო გეგა, მოდიტ საუბარი თქვენი ოჯახით დაიწყო, რას გვეტყვით?

— ჩემი ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა კაცთმოყვარეობით და წესიერებით. შესაბამისად, საზოგადოებაში ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ძალიან ღირსეული, მშრომელი ბაბუა მყავდა — გრიშა შენგელია, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ხელისუფლების სხვადასხვა რგოლში. კეთილშობილი და უშუალო პიროვნება იყო და ხალხი უდიდეს პატივს სცემდა. მამაჩემი ზუგდიდში, მეფრინველეობის ფაბრიკაში, ერთ-ერთი მიმართულების ხელმძღვანელი გახლდათ და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული. ჩემი ოჯახისადმი ხალხის დამოკიდებულებას ყოველთვის ვგრძნობდი — ეს თუნგო შენგელიას შვილიაო, ისე თბილად იტყვოდნენ ხოლმე, რომ ვხვდებოდი, ჩემი ოჯახის შვილობა, გარკვეულწილად, დიდი პასუხისმგებლობაც იყო. ხალხის ამგვარი დამოკიდებულება ყოველთვის დამატებით სტიმულს მძლევდა და მიზნდებოდა განცდა, რომ თუ მეც ასეთივე სახელს დავეტოვებდი, ჩემი შვილები და შვილიშვილები ძალიან იამაყებდნენ. შეიძლება ითქვას, ეს მიზნად დავისახე. ყოველთვის ცდილობდი, სამაგალითოდ მეცხოვრა. სხვაგვარად ცხოვრების უფლება არც მქონდა, მით უმეტეს, რომ

დედაც საკმაოდ ცნობილი ქალბატონი გახლავთ — ინგლისური ენის პედაგოგია, დღესაც ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლაში მუშაობს და, შეიძლება ითქვას, ნახევარი ზუგდიდი მისი მოსწავლეა. სხვათა შორის, მე და ჩემმა ძმამაც ეს სკოლა დავამთავრეთ, რაც ორმაგი პასუხისმგებლობა იყო. თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ დედა არასოდეს გვზღუდავდა ურთიერთობებში და ზოგადად, თავისუფალ პიროვნებად გვზრდიდა.

- ფინანსურ სექტორში მნიშვნელოვანი დრო გაატარეთ ამ 14 წლის განმავლობაში, საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. თქვენი შეფასებით, პარალელურად თუ შეიცვალა ვითარება ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობის კუთხით?

- წინა ხელისუფლების დროს, ერთ-ერთ ბანკში საკრედიტო ექსპერტი გახლდით. სხვადასხვა საფეხურის გავლის შემდეგ კი ფილიალის დირექტორიც ვიყავი. წინა ხელისუფლების დროს ბანკზე ან ფინანსურ საქმიანობაზე შეზღუდვას პირადად ჩვენ ვერ ვგრძნობდით, მაგრამ, იცით, როგორი დამოკიდებულება იყო ფინანსურ ორგანიზაციებსა და ბიზნესთან. 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბიზნესი უფრო თავისუფალი გახლდა. ეს იგრძნობოდა მომხმარებლებისგან — უფრო ლაღად გრძნობდნენ თავს, მეტი შესაძლებლობა

და არჩევანი ჰქონდათ, წნეხი და შეზღუდვები მოიხსნა.

- სწორედ ამ დროს თქვენ ამ სფეროს მოწყვდით. პოლიტიკამ რატომ დაგაინტერესათ?

— წლების განმავლობაში არაერთი შეთავაზება მქონია, მათ შორის თბილისში მუშაობის თაობაზეც, მაგრამ ყოველთვის მქონდა სურვილი, ვყოფილიყავი ზუგდიდში. მინდოდა, მშობლიურ მუნიციპალიტეტში მეკეთებინა საქმე და მას გამოვდგომოდი. დროთა განმავლობაში გამიჩნდა მოთხოვნა, უფრო და უფრო მეტი კონტაქტი მქონოდა ხალხთან, მეტი გამეკეთებინა ქალაქისა და მუნიციპალიტეტისთვის. საბოლოოდ, ვიფიქრე, რომ ეს პოლიტიკაში მოსვლით იქნებოდა შესაძლებელი. უფრო რომ დავაზუსტო, სწორედ მერიაში საქმიანობით. აქ მართლაც მეტი შანსი და შესაძლებლობაა, ზუგდიდსა და მის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს იდეებს ფრთხილად შევასხა.

- კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ?

- გამოწვევა ძალიან ბევრია. ჩემი აზრით, ამ წლების განმავლობაში, გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვიდრე გაკეთდა და ამის გამო მუდმივად მქონდა პროტესტის გრძნობა. როცა მოვედი მერიაში, გადავაწყვიდი იმ სირთულეებს, რასაც გარედან ვერ ვხედავდი. დავინახე, რომ რაღაცების ისე გაკეთება, როგორც წარმოგიდგენია, საკ-



ზუგდიდი ჩემთვის ღირსების სიზმლოა. პატიოსნებისა და სიყვარულის ნიშანსვებით!

მაოდ რთულია. მაქვს იდეები, როგორ შეიძლება განვითარდეს მუნიციპალიტეტი. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარია, პროცესში მოსახლეობის მეტად ჩართვა. მინდა, არაერთი ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელოთ, რომლებიც მეტად იქნება მორგებული ხალხის საჭიროებაზე. სოციალური პროექტებიც უმნიშვნელოვანესია და სხვათა შორის, ასეთი ბევრი პროგრამა უკვე მოქმედებს კიდეც; მაგალითად, დაფინანსებული ოპერაცი-

ების დარჩენილი თანხის ნაწილს ვუხდით. განათლების სფეროშიც გვაქვს პროგრამა — წარმატებული მოსწავლეების, სტუდენტების დაფინანსების. ეს მიმართულებები ჩემთვის პრიორიტეტულია. ასევე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ტურიზმის განვითარება და ამ კუთხით, დამატებითი სარგებლის შემოტანა ჩვენი მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტისთვის. ზუგდიდი არ უნდა იყოს ტურისტებისთვის გამტარი ქალაქი. ჩვენ მათ უნდა შევთავაზოთ და შევთავაზებთ კიდეც კონკრეტულ ატრაქციებს და აქტივობებს, რათა ჩვენი სტუმრები დიდხანს დარჩნენ მუნიციპალიტეტში. ეს კი შემოსავალს მოუტანს ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულ ჩვენს თანამემამულეებს. არ გვაქვს დასაკარგი არც ერთი ლარი, ამიტომაც ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც ჩვენც მუნიციპალიტეტში განხორციელდება, მაქსიმალურად მაღალ დონეზე იქნება შესრულებული და მერიის მხრიდან ზედმიწევნით გაკონტროლებული. ზუგდიდს წელს ყველაზე დიდი ბიუჯეტი აქვს, რაც კი ოდესმე ჰქონია ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ამიტომ განვაგრძნობთ ამ კუთხით მუშაობას და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად უფრო გაიზრდება. ზუგდიდს აქვს საქართველოს მთავრობის ძალიან დიდი მხარდაჭერა. ამის დასტურია ის პროექტები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს და სამომავლოდც განვახორციელებთ. ვაპირებთ, მუნიციპალიტეტის აღმშენებლობა-განვითარების ყველა



მე ყველას მერი ვიქნები, თითოეული ზუგდიდელის სმა და კალა თვითმართველობაში. ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს საფიცარ ქალაქზე და მუნიციპალიტეტზე! წინ დიდი საქმიანი გეგმობა!..

პროცესში აქტიურად ჩაერთოთ ნიჭიერი ახალგაზრდები, რათა მოხდეს თანამედროვე იდეებისა და ინოვაციების გენერირება უკეთესი ზუგდიდისთვის. ბევრი ახალგაზრდა, რომლებმაც განათლება და სამუშაო გამოცდილება საზღვარგარეთ მიიღეს, მზად არიან, ჩვენთან ერთად ჩაერთონ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის პროცესში.

- პრიორიტეტული თუ იქნება სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც ასევე მნიშვნელოვანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის?

— ჩვენი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თხილის მოსავალი, რომელიც ბოლო წლებში შემცირდა. ეს ჩვენი მთავარი გამოწვევაა. ამჟამად ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მაგალითად, მანებელი აზიური ფაროსანა, სხვადასხვა დაავადებები... აქტიურად მაქვს კომუნიკაცია სოფლების მოსახლეობასთან, რათა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, მეურნეობის შეწამლვაში დავეხმაროთ. მათ ეძლევათ საშუალება, უპროცენტო განვადებით შეიძინონ შესაწამლი პრეპარატები. სამინისტრომ შეიძინა და გლეხებს გადაეცემთ კომპლექსურ აპარატებს, რომლითაც, მთელი სეზონის განმავლობაში, შეუძლიათ ისარგებლონ. ჩვენი მთავარი მიზანია, ეფექტურად ჩავატაროთ თხილის გადარჩენის პროცესი. სხვაგვარად ეს კულტურა ამოიძირკება, რაც სამეგრელოს ძალიან დააზარალებს. მინიმუმ 120 მილიონი დოლარის ექვივალენტი ლარი შემოდის და ამ კულტურიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, დღეს კი, მაქსიმუმ, 40 მილიონი დოლარი შემოდის. ანუ, დაახლოებით, 80 მილიონი დოლარის დეფიციტი აქვს ამ ინდუსტრიას მხოლოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში. ვითა-



თითოეული თქვენგანის ხმა, ჩამთვის მოცემული „მასხვილი გზის“ იმეზა იმ პასუხისმგებლობისა, რომელსაც ვიღავ ღმერთისა ხალხის წინაშე!.. სივართლე ჩამი ფიქრისა და აზროვნების ხმისმალაია!..

რების უკეთესობისკენ შეცვლის პროცესში მთელი მთავრობა აქტიურად ჩართული.

- როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი? წინა წლებში გარკვეული პრეტენზიები არსებობდა?

- დიახ, შეიცვალა... მოსახლეობასთან შეხვედრებისას გამოიკვეთა რომ ადრე კომუნიკაციის ნაკლებობა იყო. დღეს გაცილებით მეტ ინფორმაციას იღებენ და ეს უმნიშვნელოვანესია. არის კიდევ ერთი პრობლემა — ბევრ გლეხს გონია, რომ არავისგან არაფერი არ აქვს სასწავლი. ზოგი შეწამვლაზეც ამბობდა უარს. არადა, არსებობს ახალი ტექნოლოგიები, მეთოდები, რომლებსაც ძალიან კარგი ეფექტი აქვს. კარგია ისიც, რომ ვინც ასოციაციასთან ერთად შეწამლა თავისი პლანტაციები, უკეთესი შედეგი მიიღო. ეს სხვა-

გლეხებმა დაინახეს და დამოკიდებულებაც შეიცვალეს. დღეს გაცილებით მეტი ადამიანია თანახმა, ჩვენთან და სამინისტროსთან ითანამშრომლოს და, ვფიქრობ, წელს, მინიმუმ 30% — ით უკეთესი შედეგი გვექნება. დღეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ესაა. ზოგადად, ხელისუფლების მთავარი საზრუნავი მოსახლეობის კეთილდღეობა და მათი პირობების გაუმჯობესებაა.

- ამიტომაც ხართ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი?

- რასკვირველია, და კიდევ იმიტომ, რომ მაქვს მეტი სასიკეთო საქმის გაკეთების სურვილი. ამის შესაძლებლობა კი სწორედ ამ გუნდმა მომცა, როცა დაინახე ჩემი პოტენციალი, მონდომება, გამოცდილება და შემომთავაზა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე კენჭი ვიყა-

რო. ჩვენი ინტერესების თანხვედრა მოხდა და მეც დაეთანხმდი. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გააკეთე და 19 მაისს ზუგდიდის მოსახლეობა სწორ არჩევანს გააკეთებს.

- ზუგდიდში დევნილთა დასახლებებისა. მათთვის საინტერესო პროექტების განხორციელებაზე ხომ არ იფიქრებ?

- დევნილებთან ძირითადად ჯანდაცვის, სოცურზრუნველყოფისა და დევნილთა სამინისტრომუშაობს, მაგრამ ჩვენც ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მათთან. კომპაქტურად დასახლებულ დევნილებს სამინისტრო ბინებით აკმაყოფილებს. ეს ძალიან კარგი პროგრამაა. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე, 720 დევნილი ოჯახისთვის კორპუსების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში კი დამატებით 240 ბინის მშენებლობა

დაიწყება. სამინისტროსთან შუამდგომლობას ვუწვევთ იძულებით გადაადგილებულებს, რათა ეს სიკეთე ყველა იმ ოჯახმა მიიღოს, ვისაც ეკუთვნის. ამას მეორე ეფექტიც აქვს-გამოთავისუფლებული ფართები, რომლებიც ქალაქის ცენტრალურ უბნებშია, სხვადასხვა მიმართულებით შეგვიძლია გამოვიყენოთ და მუნიციპალიტეტმა ამით გარკვეული სარგებელი მიიღოს.

- ბატონო გიორგი, არჩევნების დროს სამეგრელო ყოველთვის „ცხელ ზონად“ გადაიქცევა ხომ? ოპოზიცია აქ ხმების მოზილვას განსაკუთრებით ცდილობს. კონკურენტებთან შედარებით, თქვენ რა უპირატესობა გაქვთ?

- ვფიქრობ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცხელი არჩევნები გველის. შეიძლება იყოს პროვოკაცია, ინტრიგა, ემოციები... ჩვენ ამ ყველაფერს ღირსეულად ვპასუხობთ და სამართლიანი საარჩევნო პროცესის ჩატარებას უზრუნველყოფთ. „ქართული ოცნების“ უპირატესობა ხომ სწორედ ესა. ჩვენი გუნდი ყოველთვის თანმიმდევრულია და, რაც მთავარია, გვაქვს პროგრამა, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია. 50 მილიონი ლარი უკვე მოზიდულია ზუგდიდში კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. რეგანსისტული ძალები ხელისუფლებაში მოსვლით მინიმუმ 2021 წლამდე შეაფერხებენ მუნიციპალიტეტის განვითარებას. დარწმუნებული ვარ, ზუგდიდის მოსახლეობას ეს კარგად აქვს გააზრებული და ამიტომ ისინი 19 მაისს მზარს დაუჭერენ მუნიციპალიტეტის განვითარებას. დარწმუნებული ვარ, ყველა პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, როცა ზურგს გიმავრებს ადამიანების უზარმაზარი არმიანი ჩემი ზუგდიდელები, რომელთაც გული შესტკივთ ჩვენს ქალაქსა და სოფელზე.

დარწმუნებული ვარ, ერთსულოვნებითა და კონსოლიდაციით ჩვენ მივაღწევთ გამარჯვებას.



აუცილებელია გუნდური სელექცია საპარო ცვლილებების თვალსაზრისით. რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა უნდა ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში.

ნიჭიერი ახალგაზრდების მჩაქვარე სისხლი, ინიციატივები და დაუღბრომელი ენერჯია „პროლოგად“ უნდა წარუშლავს ჩვენს საქმიანობას!

ირანდა კალანდამი 593 56 11 18

დოქსოპულო

მოხდა ძალიან სამწუხარო ფაქტი — გარდაიცვალა დედა-მოსილი პედაგოგი, კარგი ადამიანი, და გამომდინარე აქედან, სულაც არ არის გასაკვირი მისი ახლობლების, საზოგადოების, გნებავთ, პოლიტიკური წრეების წარმომადგენლების ემოციური დამოკიდებულება ამ დრამატული ფაქტისადმი, თუმცა ამ პროცესებს რომ აკვირდები, შეიძლება მოგეჩვენოს, ზედმეტად პოლიტიზირებული, ზედმეტად ანგაჟირებული, რაც მთავარია, რაღაც ძალე-ბის მიერ მართული ხომ არ არის ეს ყველაფერი?

მწუხარება, ახლობელი ადა-

გამოხატვით გვინდა შევკადროთ ბატონ ბაჩანა შენგელიას: ბატონო ბაჩანა, თქვენც ხომ არ მოექცეით ამ არაკეთილსინდისიერი ადამიანების გავლენის ქვეშ და თქვენს ტრაგედიას მომგებიან თემად და მასალად ხომ არ აყენებინებთ ამ ეგრეთწოდებულ ოპოზიციას?

ბოდიშს გიხდით, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ თქვენს საქციელს რომ ვადევნებთ თვალს, სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვიტოვებთ.

უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ცხონებული დედათქვენის გარდაცვალების ამბავი პოლიტიკურ თემად აქციეთ და ამ თემით იმ პოლიტიკური ძალის

„ნაცმოძრაობის“ ფრაზოლოგიაა ეს: კი, ბატონო, ვაღიარებთ, შეცდომებს ჩვენც ვუშვებდითო.

შეცდომებს კი არ უშვებდით თქვენ, ნაციონალებო, უამრავ საზარელ დანაშაულს, უამრავ ბოროტებას სჩადიოდით, დღეს რომ შეცდომად გინდა გადაღობოთ და ბაჩანა შენგელიაც კვერს გიკრავთ, რომელიც, მისივე თქმით, იმიტომ არის თეთრ პერანგში გამოწყობილი და იმიტომ არ ისვრის ქვეშ, რომ თავის სახელმწიფოს პატივს სცემს.

ბატონ ბაჩანას ამით იმისი თქმა უნდა, რომ წესიერი და პატრიოტი მოქალაქეა, რომელიც ხელისუფლებებს კი არა, სახელმწი-



და „ჩარეცხილებად“ გამოაცხადა.

ეს იყო ნამდვილი რეპრესიები, რომელმაც მრავალი ადამიანი მორალურად და ფიზიკურად გაანადგურა, თქვენ კი ხმა არ ამოგიღიათ, ბატონო ბაჩანა.

რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ ისინი სხვისი დედიკოები და მამიკოები იყვნენ, თქვენ კი, ოჯახიანად, აქეთ, მკვლელები და მოძალადე სისტემის მხარეს იდევით, მშვიდად და უსაფრთხოდ.

ამ მიზეზის (ბატიაშვილს) რომ ეკითხებით მხოლოდ, იმ მეორე მიზეზს, გვარად სააკაშვილს რატომ არ დაუსვით იგივე კითხვა: „თქვენ დედა გყავთ, ბატონო მიხეილ?“

დოქსოპულოებს სხვებს რომ ეძახით, დოქსოპულოების მხარეს დგახართ თქვენ, პატივცემულო ბაჩანა და ეს ამბავი რატომღაც სულ არ გეთაკილებათ.

გეთაკილებათ კი არა, მგონი, ამით თავი მოგწონთ კიდევ...

თქვენი მტკიცებით, დედათქვენს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მუშაობა ბევრჯერ შესთავაზეს, უარის შემდეგ კი სკოლიდან გათავისუფლებით დაემუქვნენ.

გამოდის, რომ სულგანათლებული დედათქვენის სიმპატიები უფრო „ნაცების“ კანდიდატის გრიგოლ ვაშაძისკენ იხრებოდა.

ერთი რამ არ გვესმის და იქნებ, თქვენ გაგვაგებინოთ, ბატონო ბაჩანა — როგორც და რანაირად ხდება, რომ განათლებული, ნაკითხი, ინფორმირებული ადამიანი, რომელმაც თავიდან ბოლომდე შესანიშნავად იცის, რა უმძიმესი და უსასტიკესი დანაშაულები აქვს ჩადენილი „ნაცმოძრაობას“ ხელი-

სუფლებში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში, მხარს მის მიერ წამოყენებულ კანდიდატს უჭერს?

ნაკლებად ინფორმირებული, ნაკლებად განათლებული და საქმეში ბოლომდე ჩაუხედავი ადამიანისგან, რომელიც ადვილად ექვემდებარება „ნაცმოძრაობის“ მიერ კარგად ათვისებული ტვიზის გამორეცხვის პროცედურებს, შეიძლება ეს არ გაგიკვირდეს, მაგრამ განათლებული ადამიანი, ინტელიგენტი, როგორ და რანაირად, რა სინდისით და რა მორალით შეიძლება მკვლელების, საღისტების, მანიაკების, მძარცველების და ყაჩაღების მხარეს იდგეს?

ბატონი ბაჩანა თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში ხშირად ახსენებს სიტყვა მორალს.

ამ ყოვლისდამტევი და დიდი სიტყვის მრავალგვარი და მრავალნაირი განმარტება არსებობს, მათ შორის კი ერთ-ერთი ყველაზე გენიალური და ზუსტი შეფასება დიდი პოეტისა და დიდი მოაზროვნის, ვაჟა-ფშაველას კალამს ეკუთვნის: „რაც უნდა ჭირი მამკერძონ, ბილწთ არ შავეკერი ზავითა“.

ბილწებთან ზავით შეკრული თავდაც ბილწი ხდება. დოქსოპულოების მეგობარი თავდაც დოქსოპულოა. თქვენ დოქსოპულო ხართ, ბატონო ბაჩანა, დოქსოპულო, რომელმაც საკუთარი დედის ტრაგედიის სპეკულირებით დოქსოპულოებს ეხმარებით პოლიტიკური ქულების მოზევეჭაში.

ამაზე სამარცხვინო, ამაზე სათაკილო და არაკაცური საქციელი არ არსებობს.

„სამართო გაზეთი“



მიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი სხვა ადამიანების მხრიდანაც თანაგრძობას, თანადგომას, რიდს და პატივისცემას უნდა იწვევდეს და ეს სრულიად ნორმალური, ღრმად ადამიანური გრძობაა, მაგრამ შემზარავია, როცა სხვის მწუხარებას ისეთი ადამიანები მიუტმანსებენ, რომლებსაც სულაც არ სტკივათ და სულაც არ აწუხებთ ეს ამბავი, მაგრამ სხვის მწუხარებას პოლიტიკური ქულების დასაწერად, პოლიტიკური სპეკულაციის და ოპორტუნისტების სხვადასხვა მძიმე ბრალდებების წასაყენებლად იყენებენ.

ასეთი საქციელი, პირველ რიგში, მიცვალებულის, მეორე რიგში კი მისი ჭირისუფლის უპატივცემულობა და შეურაცხყოფაა.

მიცვალებულებს არ შეუძლიათ თავი დაიცვან, ამიტომ მათ ნაცვლად ეს საქმე მათმა ჭირისუფლებმა უნდა გააკეთონ და მათ ტრაგედიას პირადი გამოჩენის მიზნით ადევნებული უღირსი და უხნეო ადამიანები ახლოს არ უნდა გააკარონ, თუმცა ზოგჯერ საპირისპირო რამ ხდება და ჭირისუფლები თვითონვე ხდებიან ამგვარი არამკითხე მოზარეების მარიონეტები.

ბოდიშის მოხდით, მისი მწუხარებისადმი ღრმა თანაგრძობის

სასარგებლოდ ეწვეით სპეკულაციას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ წარმოადგენს.

თქვენ ამტკიცებთ, დედაჩემის გარდაცვალება განათლების სამინისტროში დაგეგმილი და განხორციელებული მკვლელობა იყო, დედაჩემი სისტემამ მოკლაო.

აი, ამ პოლიტიკური დასკვნის გაკეთება გინდათ თქვენ, აი, ამის მიღწევას ცდილობთ, რომ საზოგადოება დაარწმუნოთ: „ქართული ოცნება“ მკვლელები სისტემაა, რომელიც წესიერ და პატიოსან ადამიანებს კლავს.

შემთხვევით „ნაციონალი“ ხომ არ ბრძანდებით თქვენ, ბატონო ბაჩანა და მიათი სამრეკლოდან ხომ არ არისხებთ განგაშის ხარებს — ამ გულქვა და საღისტმა „ქართულმა ოცნებამ“ დედა მომიკლაო.

კი, ნამდვილად ნაციონალი ხართ, თქვენ, პატივცემულო ბაჩანა (ისე, გარეგნულად ნაციონალს არ ჰგავხართ), თორემ იმ სიტყვებს როგორ იტყობდით, კი, ბატონო, წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა შეცდომები, მაგრამ მე ესაუბრობ კონკრეტულ ადამიანზე, რომელიც გარდაიცვალაო.

აჰ, თურმე რაში ყოფილა საქმე — წინა ხელისუფლებას შეცდომები ჰქონდა, ეს ხელისუფლება კი კლავს.

ფოს ინტერესებს უწევს ანგარიშს.

თუ ეს ასეა, ბატონო ბაჩანა და თუ თქვენ მართლაც წესიერი და პატრიოტი მოქალაქე ხართ, სად იყავით და რატომ არ ამოიღეთ ხმა მაშინ, როცა ათასობით, ათათასობით დედაწმოსილი ადამიანი — სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, პროფესორები, მეცნიერები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ახალგაზრდების აღზრდას მოახმარეს, „ნაცმოძრაობამ“ ქუჩაში გაყარა



ბროას სხენი „ნაციონალების“ საქონიზოდას

„ნაციონალების“ პოლიტიკური ბრძოლის ხელსწერა მოწინააღმდეგის დეზორიენტაციაზე გათვლილი.

მხოლოდ ამისთვის და მხოლოდ ამის გამო მომდღერებულა საქართველოში „ნაციონალებისაგან“ დაფინანსებული არასამთავრობოების სექტორი, საეთერო მასმედიის მეტი წილი, ხოლო „რუსთავი-2“-ის ლოგო პირდაპირ გვეუბნება: **ტროას ცხენი მოვსულვარ შენს გასანადგურებლადო.**

„ნაციონალების“ ტროას ცხენია მათი პარტნიორი საზღვარგარეთული პოლიტიკის მიერ შემოგდებული კოპაბიტაცია, რომლის ძირითადი მიზანი ქვეყნის მართვისას „ქართული ოცნების“ სხეულში „ნაციონალების“ ბაცილის განუკითხავი ჩანერგვა იყო.

„ნაციონალების“ ტროას ცხენია ერთ ადგილზე ბუქსაობის სიმბოლო ველოსიპედი „პირველი რუსუბელიკის“ მოედანზე;

„ნაციონალების“ ტროას ცხენია ბათუმში კვერცხების მონუმენტი „შლაპანცები“, რომელიც ქვეტექსტურად გუბნება: **დაგაბიჯე და გაგსრისე!**

„ნაციონალების“ ტროას ცხენი ილანდება ნობელიანტობის ნომინანტი პოეტის, დავით მაღრაძის ამბიციურობაში, რომელმაც „ქართულ ოცნებაზე“ განაწყნებული თანამოაზრეები შემოიკრიბა და თავყრილობა გამართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დევიზით: არა, „ნაციონალები“, არა, „ქართული ოცნება“, არამედ რაღაც სხვა.

მაგრამ რა არის ეს „რაღაც სხვა“?

პირდაპირ ვიტყვით, მოჩვენებითი კუდაბიკობა! ვინაიდან ეს ძალისხმევა, უწინარესად, „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს

წყალს „ქართული ოცნების“ დასუსტების ხარჯზე.

„ნაციონალების“ ტროას ბედაურია საქართველოსათვის ყოფილი პირველი ლედი **სანდრა ელისაბედ რულოვისი**. მასმედიის რწმუნებით, პაციენტებთან ურთიერთობაში ფილოლოგ-მედდას იმდენი გამოცდილება დაგროვებია, ისე დახელოვნებულა ჯანსაღი სხეულებიდან ჯანმრთელი ორგანოების ამოცლაში, რომ, აწი, პეპელათი დაოსებული ზუგდიდის თხილნარების გასხვლა – გაუჭირდება ბედნიერს?!

არადა, იყო დრო, ნამეტანი სათნო და მიზიდველი ჩანდა შორიდან ჩვენი პოლიგლოტი რძალი. გავიდა წლები და შუბი ხალთაში ვერ დაიძალა, და ეს ვერდამალვა ისევე ბიძინა ივანიშვილის ფენომენს უკავშირდება, მის პიროვნულ გამბედაობას, მენამრიდევით რომ დაუდგა წინ „ნაციონალებისგან“ წამონიადგრებულ წარღვნას.

ისე არ უნდა ჩამომერთვას, თითქოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გრიგოლ ვაშაძის მიღებულ 800 000 ხმაში ყველა ანტიადამიანს ვხედავდეთ, ან ქართველთა მოძულეს. არა, ძვირფასებო! მათი დიდი ნაწილი „ნაციონალურ“ ნიღაბს ამოფარებული თითზე ჩამოსათვლელი ლიდერების მოწამლული ჩვენი და-ძმები არიან, რომელთაც მართლაც მამულიშვილები ჰგონიან მგლის ქურქში გახვეული „ნაციები“ – მამა აბრამის ბატკნის სახეებით, ამ საერთო უბედურების მოთავენი, უდანაშაულო ქართველების სისხლში ხელგასვრილები და ბოროტების წუმპეში ყელამდე მოყურყუტენი! დიახ, ის 800 000 ადამიანი მართლაც მსხვერპლია და „ახალი ეროვნული მოძრაობის“ მხედრო-



ბას, დიახაც, გემართებს „ნაციონალების“ ურჩხულის კლანჭებიდან მათი გამოხსნა!

გავიხსენოთ, როგორი აჟიოტაჟით უწევდნენ ლობირებას „ნაციები“ ქალაქ ლაზიკას, რომელიც 500 000 ადამიანისთვის უნდა გაშენებულიყო ანაკლიაში სამეგრელოს გაცამტვერების ხარჯზე.

წარმოგიდგენიათ, სამეგრელოში ყველაზე მშვიდობიან პერიოდში ადგილობრივი მაცხოვრებელი 460 000-ზე მეტი არასდროს ყოფილა. სადღეისოდ (2019 წ.) 453 000-ია, ანუ დედაწულიანად რომ გადავბარებულებყავით აღნიშნულ ქალაქში, მაინც ვერ აღვაკვებდით. ეს ძვირადღირებული ქალაქი თავიანთი შეძლებული თვისტომისთვის ნანდომლარა „ნაციებს“. ამასთან, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ფარულავას რწმუნებით, ნახევარმილიონიანი ქალაქი ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევდა – შეიწირავდა ჭაობნარში დაკონსერვებული სასმელი წყლის

მარაგს. გაანადგურებდა გადამფრენ ფრინველებს.

და შეჩერდა, თითქოს, ეს მავნებლური პროექტი, ჩამოშორდა, თითქოს, ამ პროექტს სააკაშვილის ბანდა, მაგრამ გამოხდა ხანი და „ლგპტ“ მწერლების ხელგაშლილად დამფინანსებელმა „თი-ბი-სი ბანკმა“, პრემიერ კვირიკაშვილის ლობირებით, ხელთ იგდო ამ მრავალმილიარდანი ქალაქის სამომავლო ბედი.

ახლა გასაკვირი რატომ უნდა იყოს, რომ „ნაციონალები“ ყველაფერს აკეთებდნენ ზუგდიდ-ქალაქის მერად თავიანთი კანდიდატურის, მფატრავად მონათლული **სანდრა რულოვისის** გასაყვანად?!

აქ მიზანი ერთია: ანაკლიის პროექტს შეფერხებები რომ არ მიეცეს – ანტიქართული მიმართულებების განხორციელებისას – ერთგული პიროვნებაა საჭირო.

წავიკითხავს ჩვენ თავის დროზე ქალბატონ სანდრას მემუარული ხასიათის წიგნი „იდეალისტის ნაამბობი“, რომელიც, ფაქტობრივად, ედუარდ შევარდნაძის წინაშე გულის ქარაგმული ამობერტყვავა: **შენი იდეალების ერთგულნი ვართ მე და ჩემი მეუღლე მიხეილი. თუ აუგად მოგიხსენიებთ აქა-იქ, ნუ გვიწყნებთ, კონიუნქტურაა, პილიტიკური თამაში, სხვაფრთვ შენი ერთგულები ვართო.**

დაიც, „ნაციონალების“ ტროას ცხენის ფუნქცია დაკისრებია ქალბატონ სანდრას, რომელიც ყოველნაირად ცდილობს კარდაკარ სიარულით ზუგდიდლების გულის აჩვილებას, „ქართული ოცნებისგან“ ცილდაწამებულ პერსონად აჩვენებს თავს მიამიტ მოსახლეობას – ვითომდა იღვენება, ვითომდა ავიწროვებენ, ვითომდა გამუდმებით უთვალთვალენ...

ხვდება ჩვენი მოწონებული სანდრა ბედისგან დაჩაგრულ 80 წლის ლილი ხაზალიას, მისნაირ მქორეს და მესამეს, აღუთქვამს აღუსრულებელს, ოღონდ გამარჯვება მოიპოვოს, მათი მიმდობი ბუნების წყალობით, ბოროტების ბუდე „ნაციონალების“ და მათი ლიდერი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსახლეობად, მოსახლეობას 200 000-ლარიან წლიურ

საშუალო ხელფასს რომ ჰპირდება დემოკოიურად. ალბათ, ცხრა წლის განმავლობაში საქართველოდან მოხვედრის მილიარდებიდან უწილადებს ბედსალი.

დიახ, სანდრა „ნაციონალების“ მიერ სამეგრელოსთვის მეორედ შეთავაზებული დანაიდების საჩუქარია – ტროას ცხენი. ეს ის ქალბატონია, რომელიც თავის წიგნში **ზვიად გამსახურდიას და ჯაბა იოსელიანს რომ აიგივებდა და ორივეს ბანდიტს უწოდებდა**. მოკლედ, ზუგდიდში მისი გამარჯვების შემთხვევაში, ჯაჭვური რეაქციით გადაებებდა „ნაციონალური“ ამბიციები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს.

აქი, დიახაც, სამეგრელოს ფაქტორით იზუვლეს „ნაციებმა“ „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში. შევარდნაძის ხელისუფლებისგან მიზანმიმართული უყურადღებობით აბობქრებულ „ენგურპესელებს“ ამოეფარნენ...

დარწმუნებული ვარ, სულდიდი და ზურგდიდი ზუგდიდი არაფრით დაუშვებს ლეფყოფილის მერობას, ვინაიდან იგი მხოლოდ ზუგდიდის კი არა, სრულიად საქართველოს მტერია ამაზრხენი ბრალდებებით.

ამ დროს რას აკეთებს ვითომ სათნოების განსახიერება მერობის კანდიდატი ზუგდიდში? სანდომიანი ღიმილით გაცისკროვნებულა, აინუნშიაც არ ავდებს ანტიადამიანურ ქმედებებში ბრალეულობას, დაიარება ზუგდიდლების კარდაკარ, დატასაობს თხილის ნარგავებში და თავის გამართლებისთვის ეცლება?!

მფატრავად მონათლული სანდრას გამარჯვებას ზუგდიდში მოჰყვება „ნაციონალების“ ჩვეული ფაზიფუხი მთასა თუ ბარში, თავიანთი დამქაში არასამთავრობებისა და დეზორიენტირებული მოსახლეობის ნაწილის მეშვეობით ყველაფერს იღონებენ შემდგომ, მთავრობის შტურმით დასაუფლებლად, როგორც ეს მოხდა წლების წინათ, სამეგრელოს მოსახლეობის აბობქრების შემწეობით, შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამასთან, ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ 2020 წელს ვადა ეწურება რუსეთ-თურქეთს შორის ყარის საზავო ხელშეკრულებას და როცა ჩვენი ისტორიული მეზობელი რუსეთი ზომაზე



ორსასოვნება საბანისა

სანდრა, იბივე მიხა, რომელიც სოლის ქაზაში გადასული ცლილობს სამეგრელოში შემოკარვას



— სანამ თქვენთან მოვიდოდი, თვალეში ჩაეხედე მიშას და გარანტიები მივიღე, რომ ძველი შეცდომები არ განმეორდებოდა, — დაახლოებით ამ შინაარსის სიტყვებით მიმართა სანდრა რულოვსმა კორცხელის მოსახლეობას.

— ცუდად ჩაგიხედავთ, ქალბატონო სანდრა, თქვენი მიშკოსთვის თვალეში და სულ ტყუილად იძლევით გარანტიებს, რომ გამოსწორებული მიშა ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

ვინ ვინ და, თქვენ ხომ ყველაზე კარგად იცით, ქალბატონო სანდრა, რომ თქვენი მიშას შეცვლა, მისი გარდაქმნა, მისი ხელახლა აღზრდა და რჯულზე მოქცევა შეუძლებელია.

დღემთა ნუ ქნას და, ის რომ აქ დაბრუნდეს, ქვეყანაში სისხლის ტბებს დააყენებს და ციხეებს პატიმრებით აავსებს.

საკაშვილის საქართველოში დაბრუნება გარდაუვალ სამოქალაქო ომს ნიშნავს, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას საბოლოოდ შეიწირავს.

აი, ამის მიღწევას ცდილობთ თქვენ და თქვენი „ნაციონალური“ გუნდი?

ესეც არ იყოს, თქვენ და „ნაციონალებმა“ ეს უწყინარი სიტყვა შეცდომები რომ დაიხვიეთ ხელზე და თუთიყუშებივით წამდაუწუმ რომ იმეორებთ — ძველ შეცდომებს გამოვასწორებთ, ძველ შეცდომებს არ გავიმეორებთო — რა შეცდომებზეა საუბარი და, საერთოდ, რა შუაშია თქვენთან მიმართებაში სიტყვა შეცდომა?

შეცდომა პი არა, რასაც თქვენ სჩადი-ოდიტ, უპიძიანი დანაშაულებების მთელი ჯაჭვია, სისასტიკის, კაცთმოკლურობის, ანტიადამიანურობის მთელი პასკადია, რომლის შეფუთვას ახლა სიტყვა შეცდო-მით ცდილობთ.

არ გამოვივთ ეს უტიფარი თვალთმაქცობა, ეს ამაზრზენი დემაგოგია, ქართველი ხალხის უკიდურესად შეურაცხყოფელი ეს ფარისევლობა.

მექანიკურ თოჯინასავით მომართული დავით ბაქრაძის ტიკტიკით და ნიკა მელიას ყალბი პათეტიკით ვერავის მოატყუებთ და ვერავის აუხვევთ თვალს.

ვერც სამეგრელოს მოსახლეობას მოატყუებთ, ქალბატონო სანდრა, იმით, რომ ორ მეგრულ სიტყვას მიუგდებთ და თქვენი რძალი ვარო, რომ დააყოლებთ ზედ.

„ნაციონალიზმის“ დანაშაულებრივი საქმიანო-

ბის ამსახველი ფირებით გატენილ კასრებზე რას იტყვით, სამეგრელოს რძალი?

ამ ფირების ნახვის შემდეგ თუ ჩახედეთ თქვენს მიშას თვალეში და რა ამოიკითხეთ იქ?

იქნებ თქვათ, რომ არაფერი იცოდით ამ საზარელი საქმეების შესახებ და მხოლოდ ახლახან გაიგეთ სიმართლე?

ტყუილია ეს! თქვენ ყველაფრის საქმის კურსში იყავით, თქვენ ყველაფერი იცოდით და თქვენს მკვლელ და საღისებ მიშას მაინც მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსებს ადარებდით.

დამნაშავე ხართ, თქვენ, ქალბატონო სანდრა რულოვსო, დამნაშავე, დანაშაულის თანამონაწილე, დანაშაულის დამფარველი, დამნაშავეთა სროვის დემოფალი, რომელიც ახლა მთავარი „რაზობინიკის“ კვლავ ხელისუფლებაში მობრუნებაზე „ჩალიჩობს“ თამის, ასევე დამნაშავე, თანამონაწილეთა მართად.

დამნაშავე ხართ თქვენ და თქვენთან ერთად „ნაციონალიზმის“ ყველა ლიდერი, „ნაციონალიზმში“ დარჩენილი თუ სხვა-დასხვა პარტიებში მიმხრობნად წასული.

უფრო მეტიც, დამნაშავეა ყველა, ვინც თქვენ ბიჭვინთს მხარს და ვინც თქვენთვის აპირებს ხმის მიცემას.

როგორც ადრე ვწერდით, დამნაშავეს თვისებაა ეს — ადრე თუ გვიან, აუცილებლად ბრუნდება დანაშაულის ჩადენის ადგილას. „ნაციონალიზმის“ დამნაშავეს ეს ქვეცნობიერი ინსტინქტი ამოძრავებს, როცა ხელისუფლებაში, ანუ დანაშაულის ჩადენის ადგილას ცდილობს დაბრუნებას, რომ როგორმე დანაშაულის კვალი წაშალოს.

„ნაციონალიზმი“ რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ის აუცილებლად დაიწყებს აქტიურ ქმედებებს ძველი დანაშაულებების კვალის გასაქრობად და მიზანს რომ მიაღწიოს, იძულებული გახდება, ახალ-ახალი დანაშაულობანი ჩაიდინოს.

აი, ამიტომ არ შეიძლება „ნაციონალიზმის“ ხელისუფლებაში მობრუნება, ქალბატონო რულოვს!

„სამართო გაზეთი“

P.S. „Муж и жена одно сатана“ — იტყვიან რუსები, რომლებსაც თქვენმა მიშამ ნახევარი საქართველო ხონჩით მიართვა. ჰოდა ერთი სატანის ორი სახე ხართ თქვენ და თქვენი მიშა, ქალბატონო სანდრა. სიმართლე ეს არის და ამ სიმართლეს ვერსად წაუხვალთ!



მეტად გადამტერებია საქართველოს კვლავაც „ნაციონალის“ წყალობით, წინ რამე დაუდგება დარჩენილი ტერიტორიების, კოდორის ხეობის მსგავსად, გასხვისებას — სამხრეთ საქართველოსა ეს მიწები, ქვემო ქართლისა თუ აჭარა-სამეგრელოსი?!

აი, როგორი პერსპექტივები გვემუქრება ჩვენ ზუგდიდში მფატრავად მონათლული ქალბატონის გამარჯვების შემთხვევაში!

აი, როგორი ვერაგული სცენარი აქვთ გამზადებული ზუგდიდში მერობის კანდიდატად სანდრას წამოყენებით „ნაციონალებს“!

ხოლო „ქართული ოცნების“ ჭეშმარიტი პოზიციიდან ზუგდიდში, სრულიად სამეგრელო, საქართველოს ეროვნული გამორების — მერაბ კოსტავასა და ზვიად

გამსახურდიას ტანდემური საბრძანისია, დავით აღმაშენებლისა და ჭყონდიდელის განუყოფელი სვეტიცხოველობა — ბიბლიური ორი ხის ერთ სხეულში შესინთეზება; დიახ და დიახ, ვარანის გამძლეობისაა ჩემი სათაყვანებელი ზუგდიდ-ქალაქი, რომელსაც უხსენებლის ათობით კბენა ვერაფერს აკლებს. მართალია, აქაიქ ფეხი აერევა ზოლმე ამდენი ტოქსინით გაბანგულს; წონასწორობასაც დაკარგავს შიგადაშიგ შხამ-სამსალის მანეჟი შემოქმედებისაგან, მაგრამ, ბოლოს, კბილეში მოიგდებს მის ქერეჭიან სხეულს და გადადრინის ერთხელ და სამუდამოდ...

გური ოტობაია, მწერალი

P. S. მე შენახვედრი ვარ ზუგდიდის მერობის დღევანდელ კანდიდატებს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციაში. კარგის მეტი არაფერი მეოქმის არც ბატონი ზვიად სიჭინავას და არც თენგიზ ჯგუშეას მისამართით. მაგრამ ახლა, ზუგდიდში მერის არჩევნების მამთიადში საჯაროდ განმიცხადებია: სულიერი და საქმიანი თანადგომა ექნება ჩვენგან ყველას, ვინც „ნაციონალების“ ტროას ცხენის შემოტევას აღუდგება წინ ოდიშის თუ სრულიად საქართველოს ნებისმიერ ციხე-გოდოლთან; ვინც „ქართული ოცნების“ ჭეშმარიტი გვარდიელის პოზიციიდან აფასებს საგნებს და მოვლენებს — კეისარს კეისრისას მიაგებს და დმერთს — დმრთისას;

ვინც გეგა შენგელისავე „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ მომზადებისათვის ზრუნავდა 2014-2016 წლებში და რომელიც, 2017 წლიდან მოყოლებული დღემდე, დიახაც, გეგა შენგელისავე მხარში უდგას სიტყვით და საქმით „იბერიული პოეზიის ანთოლოგიის“ ქვეყნიერებაზე მოვლინებას, სადაც მონუმენტურ ორტომეულში თვალნათლივად მოფარგლული პროტობერიული სივრცე. აი, რანაირ მართალკაცს უდგას და ედგომება მხარში გური ოტობაია.

სახელმწიფოებრივი აზროვნების შემთხვევაში ზემოთ დასახელებული ზუგდიდის მერობის კანდიდატებისგან, ამ ექსტრემალურ სიტუაციაში, ერთადერთ პრაგმატულ ნაბიჯად თავიანთი კანდიდატურების მოხსნა შესახებ „ქართული ოცნების“ ფავორიტი გეგა შენგელისასასარგებლოდ, რათა არ წაერთვას ხმები მათგან და ამით მფატრავად



მონათლულ სანდრას არ გაეხსნას გზა ზუგდიდის მერობისაკენ, ანუ არ გაეხსნას გზა „ნაციონალებს“ საქართველოს მორიგი დაქვევისაკენ.

ეს პიროვნებანი, მართალია, ზუგდიდში აიღებენ ხმების გარკვეულ რაოდენობას, მაგრამ არა იმდენს, გამარჯვებას რომ სჭირდება. ზუგდიდში ძირითადი პაექრობა „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორისაა. ამიტომაც საქართველოს მომავლის სახელით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განზე გადგომას ვურჩევდი, მეგობრულად, ერთსაც და მეორესაც.

ქართველი საზოგადოება არაფრით დაუშვებს ქვეყნის დამამხობელი მონსტრის — ქალაქ-ლაზიკის მშენებლობას მის ტერიტორიაზე. გუშინ, 9 მაისს, ახალკახათში ზუგდიდის მერობის ფავორიტმა გეგა შენგელამ მოსახლეობასთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფოს ანაკლიაში პორტის მშენებლობა მყარად აქვს განზრახული, სადაც რეგიონში ყველაზე ღრმა ბუნებრივი კანიონია და საუცხოო პირობები მძიმე წყალწვევის გემების შემოსაყვანად. ქართველ ხალხს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ ამ მოხერხებულ ფურეში 20-25 ათასიანი საპორტო ქალაქი გააშენოს, რომელიც საქართველოს დამქცევი „ლაზიკას“ სანაცვლოდ, ფოთის ნავსადგურთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის გარანტი ექნება უახლოეს მომავალში“.

გ.ო.

თვალში ნაცარი. ბოლოს და ბოლოს ამ თემებზე ლაპარაკით მაინც. სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა, 2009 წელთან შედარებით, 50%-ით იყო გაზრდილი. სახალხო დამცველის ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 2010 წელს 142 შეადგინა, როდესაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 100-ზე ქვემოთ იყო.

სახალხო დამცველი პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ტუბერკულოზს ასახელებდა, ასევე გულ-სისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის ძალიან ბევრი გარდაცვლილ პატიმარს ტუბერკულოზის გარდა ც ჰეპატიტი აღენიშნებოდა; ეს გაკვეთის შედეგებმა დაადასტურა. გიორგი ტულუშის განცხადებით, ტუბერკულოზთან დაკავშირებული პრობლემა გაღრმავდა არათუ მოგვარდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში შემოაქვს სანდრას დოც და დოც+პროგრამა, ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს“ – როდესაც ფაქტიურად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან შეიძლება გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურადაა ანგარიშში. იმავე ანგარიშში არაერთი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლის გვარი და სახელია მითითებული, რომლებიც შემჩნეული იყვნენ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობაში. ფილმში „პეროკრატია“ მეორე ნაწილი, ციხის ექიმის და ნაწამები პატიმრის შეხვედრით მთავრდება ექიმი ნაწამებ პაციენტს დაზიანებებს თვალნათლივ ხედავს, მაგრამ ფორმა 100-ში არ უფიქსირებს, სამაგიეროდ ეუბნება, რომ „ტუბი“ სინამდვილეში არა აქვს, მაგრამ სპეცზონაში უშვებს იმ იმედით, რომ იქ „აიკიდებს“.

სანდრას „ბიზნესს“ ნაცხროვა „ნედლეულით“ დიდი მონდობით ამარაგებდა. აღნიშნულ პერიოდში პატიმრების რაოდენობა 25.000 ზე მეტი იყო აქედან 3.000 ქალი... საქართველოს და ქართველების „სიყვარულით“ დამდნარი წყვილადის დედოფალი სანდრა 2010 წელს როცა პატიმრების რაოდენობამ და მათმა სიკვდილიანობის ციფრმა პიკს მიაღწია ვიზიტის ფარგლებში ამერიის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება და გზად პოლონეთში შეივლის (საინტერესოა ვის და რის ხარჯზე მოგზაურობდა განუწყვეტლევ) ჯანდაცვის საკითხებზე საქართველო-ამერიკის ორმხრივ კონფერენციას დაესწრება, რომელიც საქართველოს პირველი ლედის თავმჯდომარეობით გაიმართა. ნიშნდობლივია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქალთა რუსთავის მეხუთე დაწესებულებას ხათუნა კალმახელიძე სტუმრობდა „ბანდასთან“ ერთად იმ დღეს მინისტრს დაბადების დღე ქონია და „დაღლილი“ ხათუნა პარიზში „გაუტაცებია“ პრეზიდენტს. იქ როგორ მიულოცავდა დაბადების დღეს დაქანცულ მინისტრს ვინ იცის... მე სარწმუნო წყაროდან გავიგე ეს „სათუთი“ ამბავი, რომელსაც სანდრაც აუცილებლად გაიგებდა, თუმცა ნაკლებად შეიმჩნევდა ჯამუშობა ხომ დიდ მსხვერპლს მოითხოვს... ასე რომ ჯანდაცვის საკითხებს საერთაშორისო და ადგილობრივ

ცნობილია, რომ ტუბერკულოზის დაავადების საშიშროება იზრდება მაშინ, როდესაც იმუნოდეფიციენციის მქონე პაციენტები დაავადდებიან. ამიტომ ტუბერკულოზისგან დამცველი ძალების გასაძლიერებლად საჭიროა პირადი პიგიენის დაცვა, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები, რეგულარული ფიზიკური დატვირთვა და ასე შემდეგ ასე, რომ ციხე და კოლონია ტუბერკულოზის გასავრცელებლად და „სახეიროდ“ შესაფერისი ადგილი გახლდათ. 2012 წლის მაისში მედიის საშუალებით“ პიკასო ფერებში“ გაერცვლდა ინფორმაცია თუ როგორ გახსნეს საქართველოს პირველმა ლედამ სანდრას ელისაბედ რულოვსმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსი, სადაც თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი კლინიკა ტუბერკულოზის რეზის-



ტენტული ფორმის მქონე პაციენტებს მოემსახურებოდა. სიაშიაყით განაცხადეს, რომ ცენტრი ყველა იმ სტანდარტს აკმაყოფილებდა, რაც აუცილებელი იყო გადასდები დაავადებების გავრცელების შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. 97-საწლიანი საავადმყოფო დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთაც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმის მკურნალობაში სპეციალური გადამზადება გაიარეს. ასევე სიაშიაყით განაცხადეს, რომ საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა ფუნქცი-

ონირება, რომლის ფარგლებშიც, დაავადების დიაგნოსტიკა და შემდგომი მკურნალობა ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში პაციენტები უფასოდ ისარგებლებდნენ მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით და ყველაზე საინტერესო – ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის შენობის რეკონსტრუქ-



ცია „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია – აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მხარდაჭერით დაფინანსდა. ტუბერკულოზით დაავადებების სტატიისტიკამ ციხეებში სანდრას გააქტიურების შემდეგ მოიმატა: 2010–895 შემთხვევა; 2011–800. 2012 წელს კი 457 შემთხვევა და აღნიშნულ ორ წელიწადში 284 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმარი, რომლებსაც სიკვდილის წინა დღეს ან რამდენიმე საათით ადრე უშვებდნენ, რომ მიცვალებული ნაკლებად „დაწეროდნენ“

საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქონდათ მცდელობა ჩემი ინფიცირების. თუმცა ჯანმრთელი ორგანიზმის წყალობით გადავრჩი. მაშინდელი სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ასათიანი დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მარწმუნებდა რომ იქსდევარით ვიყავი ინფიცირებული არსებობდა ეპიდემიის საფრთხე და საჭირო იყო ჩემი იზოლაცია და სტაციონარში კვლევის გაგრძელება. მაშინ გამიჭირდა დამეჯერებია, რომ ადამიანები ვინც მიშას და სანდრას გვერდით იდგნენ მხოლოდ ცოფიანი მხეცის ინსტიქტით მოქმედებდნენ. გამივრცელეს დეზინფორმაცია რომ ჩემი დაავადება დაფრინავდა, რომ მქონდა ფილტვზე კიბო და რამოდენიმე დღის სიცოცხლე მქონდა დარჩენილი. ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ რა ემართება პატიმარს, ჯერ ერთი აღარც თავისუფლება უნდა, რადგან ოჯახის წევრები არ დააინფიცირდეს, ყოველდღიური ქიმიოთერაპიით დაუძლეველ სხეულს, სულიც გათიშული აქვს და მისთვის ყველაფერი სულ ერთია იმ გაუსაძლისი ტკივილის გაუჩხვების გარდა, რომელსაც წყვილადის დედოფალი დატრეინგებულ ვამპირების დახმარებით ექსპერიმენტების, გამდიდრების და მხეცური ჭინის დასაკმაყოფილებლად გაყენებს... მოკლედ მყისიერად აღმოვჩნდი სანდრას გახსნილ ნაქებ საავადმყოფოში სადაც პატიმრებისთვის სამი საკანი ყოფილ მორგის შენობაში იყო განთავსებული იქ, კიდევ ერთმა დატრეინინგებულმა ექიმმა გვარად (ფრისთავმა) მომახსენა რომ დაავადება რომელიც მე მჭირდა არ იკურნებოდა შეიძლება ექვსი თვე მეცოცხლა, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებიც. თუმცა სამი წელი უპირობოდ უნდა მიმელო ქიმიური პრეპარატები. მიიხრა რომ ფილტვები უკვე დაშლის ფაზაში მქონდა... უფლებადამცველმა სალომე აბულაძემ საავადმყოფოში გადაყვანიდან მეორე დღესვე მომაკითხა და კატეგორიულად მოითხოვა თოდუას კლინიკაში ჩემი გაყვანა და მაგნიტორეზონანსული კვლევის ჩატარება, დიდი ბრძოლის შემდეგ გამიყვანეს. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არათუ ფილტვის კიბო ან ტუბერკულოზი, არამედ ჯანსაღზე ჯანსაღი ფილტვები მქონდა.



„მაღალკვალიფიციურ პერსონალს“ რომ გესტაპოს სკოლა გაატარეს ფაქტია მეც კარგად მახსოვს და მამაკაც პატიმრებსაც ემასოვრებათ „მაღალკვალიფიციური პერსონალი“ თინა მახარაძე კოორდინატორი „ტუბიდან“ რომელიც №8 დაწესებულებაში, დაწვედებულ საკანში პატიმრებს „დოც+“ ფარგლებში „ქსდვარს“ ქიმიოთერაპიით „მკურნალობდა“. წარმოდგენილია ქიმიოთერაპიით მიყენებული ტკივილების აღწერა, უპაურობაში, შესაბამისი კვების და ყურადღების გარეშე, გაუსაძლისი ტკივილით. სანდრას ექსპერიმენტს ციხე კოლონიაში თინა მახარაძე კურირებდა. მე პირადად მქონდა

წყვილის „დელოვლი“, სახლად „მფაბრაპი სანდრა“

← 21 მპ.

„ოპერაცია ფილტვის“ შესახებ წერდა „ასავალ-დასავალი“ დან ზაზა დავითაია. ასევე ჩაერთნენ ჩემი მეგობრები და ფილტვის ოპერაციის იძულებით გაკეთება ვეღარ გაბედეს. (ვისაც გაუკეთეს დღეს ცოცხალი აღარ არის) თუმცა რუსთავეში დამახვედრეს სპეციალურად ჩემთვის აშენებული ციხე – ციხეში. რომლის „დიზაინიც“ მისვლისთანავე დაეწვი და დაეღუწე. ამიტომ ზამთრის გატარებამ ნახევრად ღია კარში მომიწია. ერთი თვის შემდეგ უარი განვაცხადე ქიმიური პრეპარატების მიღებაზე, რადგან თერმომეტრზე ტემპერატურა 34 ქვემოთ მიფიქსირდებოდა და აგვისტოში – ვიფინებოდი. წნევა 45/30 ზეც მქონია და ვერაფრით მირეგულირებდნენ. ერთ-ერთმა ექიმმა მიჩნია აღარ მიმელო ქიმიური პრეპარატები რადგან არაფერი მჭირდა და მიზეზი რატომაც მომიგონეს აღნიშნული დაავადება მე უნდა მცოდნოდა. თინა მახარაძემ გააპროტესტა ჩემს მიერ პროგრამის მიტოვება „დოც+“ 55000 ევროთი ფინანსდება (ანუ მაგ თანხას თითო ადამიანზე თვლიდა) და დამეპუქრა ორ თვეში, მკურნალობის იძულების წესით კანონს მიიღებენო და მაშინ კი ვასროლინე კუდიტ ქვა და ხურდად ფსიქიატრს ყოველ კვირას მიგზავნიდა არადა მათ მიერ დოზის გადაჭრებით დანიშნული. პრეპარატის ანოტაციაში ფატალურ სავარაუდო შედეგთან ერთად ხანგრძლივი დროით ცენტრალური ნერვიული სისტემის დეზორგანიზებაც იყო ნახსენები (ციკლოსერინა). თერთმეტ პატიმარ ქალს „კოლექტიურად აღმოუჩინეს“ ტუბი (ჩემს შემდეგ) თერთმეტივემ გადაამოწმა ადვოკატის დახმარებით და არცერთს არ აღმოაჩნდა. ასე, რომ ჩემს ბრძოლას მიმას და სანდრას სანატორიუმში უშედეგოდ არ ჩაუვლია. იძულებითი მკურნალობის დაკანონებას ვერ მოესწრნენ რადგან ორ თვეში ნაცმოძრაობაც დამარცხდა „ტუბის აღმოჩენა“ სარფიანი საქმე გახ-

ლდათ ნაცბანდისთვის იზოლაციაში აქცევდნენ დაუმორჩილებელ პატიმრებს, ათეორებდნენ დიდ თანხას, სიცოცხლეს ართმევდნენ ახალგაზრდებს ვითომ მოურჩენელი დაავადების წყალობით, ორგანოებს აცლიდნენ და სად მიპქონდათ დღემდე გამოუძიებელია... სამწუხაროდ, სააკაშვილის ხროვის მიერ ნაწამებ – გაუბედურებულ პატიმრებს, სანდრას სასიკვდილო ექსპერიმენტიც ემატებოდა რის შედეგადაც უამრავმა პატიმარმა დაასრულა სიცოცხლე სიკვდილის ანგელოზების (ბადრაგების) მეთვალყურეობის ქვეშ. რამოდენიმე დღის წინ სოციალური ქსელის საშუალებით ნინო ჯღარკავამ მიმა „მოიკითხა“ და შემადრწუნებელი პოსტი გაავრცელა რომელსაც შემოკლებით ვთავაზობთ: – „ესეც კინოა შე ჩასამადლებლოო სააკაშვილო? თამაზ დადვანი.. ყაჩაღობაზე გაასამართლეს, უდანაშაულო იყო, ექსპერტიზები გააყალბეს, ბოლომდე სჯეროდა რომ სიმართლეს გაიტანდა, სულ მეუბნებოდა ციხე ვერ გამტეხავსო, თავს ნუ შეაწირავ მეთქი სულ ვარიგებდი, ვხედავდი შეუპოვარი აპრინციპული იყო... არ ეპუებოდა არ უთმობდა... უხუნაესის განაჩენის შემდეგ შშობლებმა დამირეკეს ძალიან ცუდად არის შედი ნახეო, რომ შევედი სავადმყოფოში იყო, დაბერებული 23 წლის, 50 წლისას გავდა, ფეხზე იდგა ძლივს, მთხოვა ჩემი შეფარებული სურათები დამრჩა საკანში ის წაიღონ იქიდან ჩემებმა, დაუინებით მთხოვდა. რაღაც ტაბლეტებს მასმევენენო, ბოლოს რომ დაუძღურდი აქ გდომიყვანესო, მეორე დღეს შევედი, რეანიმაციაშია, ტუბერკულოზი აქვს არ შეხვიდეთ, ნიდაბი მოვითხოვე, არ მოგვცეს, მე და მეორე ადვოკატი, მაია დონაძე ვიყავით ერთად, ექპერტიზისთვის მისი ხელმოწერა მჭირდებოდა, უნდა მენახა... არ ეგონათ მაინც რომ შევიდოდით რეანიმაციაში, გამიკვირდა ასე უცბათ როგორ მოხვდა იქ. კარი შევაღე არავინ იყო, „რეანიმაცია“ იყო რკინის საწოლზე სასიკვდი-



ლოდ გადადებული პატიმრები... ხმაამოუღებლად, ექიმი ვნახე მისი, თვალები გაუფართოვდა იქ რა გინდოდათო, ვინ შეგიშვათო, ეს არის მეთქი თქვენი რეანიმაცია, მიხედვით თეთრეული მაინც ღუგუთ, წამალი მაინც დაალევიანთ მეთქი... მეორე დღეს დარეკეს ადვოკატთან, დილის ცხრა საათზე გარდაიცვალაო, ახლობლებს გააგებინეთო, მე ვერ ავღწერ იმ ტკივილს... იმ ზარს, რომლის განხორციელებაც ჩვენ მოგვიწია... მეორე... ის მახსოვს გვამს არ ატანდნენ, ხელის მოწერას თხოვდნენ ახლობლებს რომ პრეტენზია არ ქონდათ, ისე არ არ ატანდნენ გვამს... რაღაც საშინელი მარშუტკა იყო... ეს თაზო არ არისო, მესმოდა ყვირილი, შეცვლილი იყო... ნანა ლევაშვილმა გადაცემაც გააკეთა, სადაც მოგვევით, რა იყო მათი სანაქებო ციხის რეანიმაცია... რაზეც დაგვიბარა რამდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელმა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა და ადვოკატებს შეფარულად დაგვემუქრა... ალბათ ეს იმის ნახევარია რაც იქ განვიცადეთ და გადავიტანეთ ყველამ ერთად.“ – ეს ტაბლე-

ტები სწორედ ის ქიმიური პრეპარატებია, რომელსაც დოზის გადაჭარბებით იძულებით ასმევდნენ ჯანმრთელ, უტეხ პატიმრებს, აბა ყველას ცემაში ხომ არ დახოცავდნენ, შემდეგ ორგანოებს ჯერ კიდევ თბილი სხეულიდან უღებდნენ და გამწარებულ პატრონს სასწრაფო წესით ხელს აწერინებდნენ, რომ პრეტენზია არ ქონდათ. ხო, რეანიმაციაშიც კი, ქალ პატიმრებსაც ღამით ფეხზე ბორკილით აბამდნენ. ათი ვერზილა, რომ გადავს თავზე, ნაოპერაციევი სად გაიქცევი? მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ფსიქოლოგიური წნეხისთვის იყენებდნენ ამ ფაშისტურ საშუალებას.

არადა, ძნელი წარმოსადგენია, ტკივილი, ციხე, ოპერაციით გამოწვეული დისკომფორტი და ბორკილი. ნეტა სანდრამ მიმას თვალეში თუ ჩახედა, თუმცა მათი გული და თვალი რამ გაყო ერთი ვამპირის სისხლი უბუფბუფებს ორივეს.



საყურადღებოა ერთი ფაქტიც, რომელიც ვერ ტუბის ექთანს „გამოტყუე“ და შემდეგ პირადად გადავამოწმე. მოკლედ, სანდრას გახსნილ ოთხმოცდაჩვიდმეტადგილიან სავადმყოფოში ვიდაც ხომ უნდა დაწოლილიყო? მცირე რაოდენობის ადამიანების „დავომებაც“ მოახერხეს, თუმცა უმრავლესობა უბინაო, სოციალურად დაუცველი ადამიანები იყვნენ, ღამით ისინი რვა საათზე უნდა დაბრუნებულიყვნენ შემდეგ ალაყაფის კარები იკეტებოდა. აჭმევდნენ დღეში სამჯერ. მედიკამენტს არ იღებდნენ, თუმცა მიღებას იქაური წესით ექთანს ესწრებოდა. დღისით გადიოდნენ ტერიტორიიდან თითქმის ყველა გარევაჭრობით იყო დაკავებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ატიპური ტუბერკულოზის ფორმა მკურნალობის სამწლიან კურსს ითვალისწინებდა. აღნიშნულის შესახებ, რასაკვირველია, მედპერსონალიც საქმის ყურში იყო და ტექნიკური პერსონალიც. სანდრას ზეობის ხანაში მიღებული ფორმა იყო რამდენიმე ადამიანს ათასობით გასამრჯელო, დანარჩენებს კაპიკები, ჰოდა, სწორედ ექთანმა „გამანდო“ საიდუმლო, რომელიც შემდეგ გადავამოწმე და სხვა თანამშრომლებმაც დამიდასტურეს და სხვა უტყუარი ფაქტებიც მოვიპოვე...

სამარბალო გვალა უხვარე...



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა უზენაესი
შპს „ალმა-ჯი“-ს მფლობელით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983



იბეჭედა შპს „ასავალ-დასავალი“ სტამბაში.
აგლამის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

9 772233 398001